საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – დ. ღ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ა. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №036/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ზ. /სიითიN / მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ზ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 01 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 2023 წლის 19 ივნისს ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა დ. ღ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ზ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის ნოემბერში მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც გამოძიებასა და სასამართლოში მის ინტერესებს იცავდა შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი ზ. ზ.. ადვოკატმა, რომელიც საქმეში ჩართული იყო თავიდანვე, არ ჩაატარა არანაირი საგამოძიებო მოქმედება მისი ინტერესის დასაცავად.

ადვოკატი არწმუნებდა, რომ მისთვის დაეჯერებინა და რასაც ის იტყოდა სასამართლოს სხდომაზე, დათანხმებოდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თავს არიდებდა მასთან კომუნიკაციას, შეხვედრას და მთელი საადვოკატო მომსახურების პერიოდში, მისგან ვერ მიიღო სათანადო იურიდიული კონსულტაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ. ადვოკატს მისთვის არ განუმარტავს, თუ რას ნიშნავდა მტკიცებულებების უდავოდ ცნობა და ამას რა შედეგი მოჰყვებოდა; ასევე არ განუმარტავს რას ნიშნავდა ბრალის სრულად ან ნაწილობრივ აღიარება. შესაბამისად, ის ენდო ადვოკატს და გაუცნობიერებლად ეთანხმებოდა მას სასამართლოს სხდომებზე, დაეთანხმა ბრალის აღიარებასა და მტკიცებულებების უდავოდ ცნობას. ამავე დროს, ადვოკატი მასზე ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას - სასამართლოს სხდომებზე აიძულებდა დათანხმებოდა მის შუამდგომლობებს. ამის გამო, მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე, ისე რომ მას არ მიეცა თავის გამართლების შესაძლებლობა, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა თავისი ფუნქციები შეასრულა ფორმალურად და პროცესის სწრაფად დასრულების გამო, ის შეიყვანა შეცდომაში. ადვოკატს მასთან წინასწარ არ შეუთანხმებია მტკიცებულებების უდავოდ ცნობისა და ბრალის აღიარების შუამდგომლობა და მან არ იცოდა რას ნიშნავდა ეს საპროცესო მოქმედება. საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან ის არ აწვდიდა ინფორმაციას, არ შეუთანხმა საქმის წარმართვის სტრატეგია, რამაც არსებითად დააზიანა მისი ინტერესი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 22 მაისს ადვოკატმა ზ. ზ.-მა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება და საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 26 ივნისის სხდომაზე მიუთითა, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს მასსა და დ. ღ.ს ბიძაშვილ, ზ. ღ-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, იმავე დღეს გამოიწერა დაცვის ორდერი, რომლითაც ევალებოდა დ. ღ.ს ინტერესების დაცვა. დ. ღ. დააკავეს მისი საქმეში ჩართვის წინა დღეს - 21 ნოემბერს, სსსკ-ის 126[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალიწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით და შესახლებული იყო გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის დაცვას შეუდგა იმავე დღეს, დ. ღ.ს მიმართ ბრალდების წარდგენის ეტაპიდან. ბრალდებულად დაკითხვისას, დ. ღ.-მ მისი რჩევით გამოიყენა დუმილის უფლება. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს აუხსნა, რომ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მასთან შეათანხმებდა დაცვის სტრატეგიას. ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარდგენილი ბრალდების ხასიათიდან და მისი ნასამართლობიდან გამომდინარე, პროკურორის შუამდგომლობით, სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით დიდი ალბათობით შეუფარდებდა პატიმრობას. მათ იშუამდგომლეს, რომ მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოეყენებინა გირაო, თუმცა მოსამართლემ დ. ღ.-ს შეუფარდა პატიმრობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან დ. ღ.-ს გააცნო მისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი საქმის მასალები. კლიენტის ბრალი ამ ეტაპზე მოიცავდა რამდენიმე ეპიზოდს - დ. ღ. უარყოფდა 25 ოქტომბრის, 8 ნოემბრის და 20 ნოემბრის ეპიზოდებს. რაც შეეხება 20 ნოემბრის სავარაუდო ძალადობის ფაქტს, რომელიც იმ პერიოდისათვის ჯერ ბრალად წარდგენილი არ ჰქონდა, კლიენტი ადასტურებდა ცოლთან მომხდარ სიტყვიერ კონფლიქტს და აცხადებდა, რომ მხოლოდ ერთხელ წამოარტყა გაშლილი ხელი დაზარალებულს თავში. დ. ღ. განმარტავდა, რომ 20 ნოემბრის კონფლიქტი გამოიწვია ცოლის ახირებამ, რომელსაც უნდოდა ქ. თბილისში წაეყვანა იმავე ღამეს. ცოლის სურვილის შესასრულებლად დ. ღ.-მ იმავე ღამეს დაურეკა რამდენიმე ნაცნობ ტაქსის მძღოლს. ადვოკატმა მას შესთავაზა, რომ ამ ტაქსის მძღოლების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა მისთვის, რომ ეს გამოეყენებინათ მტკიცებულებად, თუმცა დ. ღ.-მ ამ ადამიანების ვერც სახელი და გვარი გაიხსენა და ვერც ტელეფონის ნომრები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აუხსნა, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებული იქნებოდა დაზარალებულის - მ. ნ.-ს მიმართ ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებზე, რომელსაც უნდა განესაზღვრა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი. მან კლიენტს აცნობა, რომ მათაც შეეძლოთ დამოუკიდებლად ექსპერტიზის დანიშვნა, ხოლო კლიენტის კითხვაზე - ამით მიიღებდნენ თუ არა მათთვის სასურველ დასკვნას, ადვოკატმა განუმარტა, რომ წინასწარ ამის განსაზღვრა იყო შეუძლებელი, რის გამოც დ. ღ.-მ ექსპერტიზის ჩატარება არ ისურვა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე და საბოლოო ბრალდების წარდგენამდე დ. ღ.-ს კიდევ ორჯერ შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მისთვის ინფორმაციის მიწოდება. ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, ის ასევე ინფორმაციას აწვდიდა დ. ღ.ს ბიძაშვილს - ზ. ღ.-ს. ბრალდებულს ჰქონდა ადვოკატის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და შეეძლო მასთან ნებისმიერ დროს დაერეკა, თუ შეხვედრის სურვილი და საჭიროება იქნებოდა. შეჯამების სახით ადვოკატმა განმარტა, რომ ის ოთხჯერ შეხვდა ბრალდებულს სასჯელაღსრულების N დაწესებულებაში, ქ. თბილისში, გადაადგილდებოდა საკუთარი მანქანით და გასწია ხარჯი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება და მისთვის კონსულტაციის გაწევა.

2.6 საბოლოო ბრალდებაში, რომელიც მოიცავდა 5 ეპიზოდს, დ. ღ.-მ არც ერთ ეპიზოდში თავი დამნაშავედ არ ცნო, შესაბამისად, წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლეს და ბრალდების ყველა მტკიცებულება გახადეს სადავო. ბრალდების მხარეს დასაკითხ პირთა სიაში შეყვანილი ყავდა სულ 15 პირი. საქმის მასალებისა და შესაძლო მტკიცებულებათა ოქმის მიხედვით, არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელთა გამოკვლევაც არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების შემსუბუქებას, მით უმეტეს ბრალის მოხსნის თეორიულ შანსს მაინც იძლეოდა. ადვოკატის პოზიციით, მას არ ჩაუტარებია არანაირი საგამოძიებო მოქმედება, თუმცა ამას აქვს მიზეზი - ბრალად წარდგენილ 5 ეპიზოდთან დაკავშირებით (25 ოქტომბრის ეპიზოდის გარდა) დ. ღ.-ს არ ჰყოლია მოწმე, რომელიც პირდაპირ ან ირიბ ჩვენებას მისცემდა საქმესთან დაკავშირებით. 25 ოქტომბრის ეპიზოდზე კი არსებობდა 2 მოწმე, რომლებიც გამოძიებას აძლევდნენ ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელ ჩვენებას. საქმისთვის ერთადერთი

არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება იყო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის განსასაზღვრად. ბრალდებულმა ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნაზე თავად განაცხადა უარი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების ყველა მტკიცებულება სადავოდ გახადეს, კლიენტს და მის ოჯახის წევრებს მან თავიდანვე აუხსნა, რომ მდგომარეობა იყო რთული და მისი ვარაუდით, ბრალდებულს სასჯელის სახით 9-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, რადგან ნაკლებ საიმედო იყო სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ დაზარალებულმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო ხელის მსუბუქი კვრისა და დაცემის შედეგად - როგორც ამას განმარტავდა მისი კლიენტი. ამასთან გასათვალისწინებელი იყო დაზარალებულის პოზიცია, რომელიც ყველა გამოკითხვაში ითხოვდა ბრალდებულის კანონის შესაბამისად მთელი სიმკაცრით დასჯას. ადვოკატი განმარტავს, რომ მან ბრალდებულს და მისი ოჯახის წევრებს განუმარტა, რომ თუ დ. ღ. ბრალს სრულად აღიარებდა და თუ უდავოდ გახდიდნენ მტკიცებულებებს, ჰქონდათ შანსი, რომ მიეღოთ სასჯელის მინიმუმი, თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რაც მას შესაძლებლად მიჩნდა, თუმცა მისი შეფასებით, მოსამართლემ სწორად არ გამოიყენა კანონმდებლობის კონკრეტული ნორმა. მან აღნიშნულზე რეაგირება ვერ მოახდინა, რადგან დაცვის ორდერის მოქმედების ვადა ამოიწურა პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილების მიღებით, ვინაიდან კლიენტმა დასახმარებლად სხვა ადვოკატს მიმართა. მან კლიენტის სურვილის შესაბამისად, მის ახალ ადვოკატს გადასცა საქმის მასალები, ზ. ღ.-ს დახმარებით. დ. ღ. მას დაეთანხმა და აღიარა ბრალდების ყველა ეპიზოდი, ასევე, უდავო გახადა მტკიცებულებები. ადვოკატი განმარტავს, რომ წარდგენილი ბრალდების ხასიათის, საქმეში არსებული მტკიცებულებების, ბრალდებულის ნასამართლობის და მის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულების გათვალიწინებით, მის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა იყო ობიექტური, შეესაბამებოდა კლიენტის ინტერესებს და სტრატეგიას დასთანხმდა როგორც კლიენტი, ასევე მისი ოჯახი.

2.8 შეჯამების სახით ადვოკატი განმარტავს, რომ მისი კონსულტაციის შედეგად დ. ღ.-მ იცოდა რას ნიშნავდა ბრალის აღიარება და მტკიცებულებების უდავოდ ცნობა; კლიენტს განმარტებას აძლევდა მოსამართლეც და ამასთან, დ. ღ. წარსულში 5-ჯერ არის გასამართლებული, შესაბამისად, არასწორია მისი პოზიცია, რომ საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. ზ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 დ. ღ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 01 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022-2023 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ზ. ზ-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი ზ. ზ. მის წარმომადგენლობას ახორციელებდა „ფორმალურად“, კერძოდ: ადვოკატმა არ განუმარტა რას ნიშნავდა ბრალის აღიარება და მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა; ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას და არ უთანხმებდა საქმის წარმართვის სტრატეგიას, რის გამოც მას მიადგა ზიანი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. ამავე დროს, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან ჰქონდეს კომუნიკაცია საქმის წარმოების პროცესში, რადგან მასთან წინასწარი შეთანხმებით დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები. ადვოკატი წინასწარ შეთანხმებული ფორმით უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს და აწვდიდეს მას საქმესთან დაკაშირებით ახალ ინფორმაციას.

5.4 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ "ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს." ყოველივე იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებისათვის ნათლად გამოჩნდეს ადვოკატის პროფესიული უნიკალურობა.

5.5 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 062/15 განმარტა, რომ „ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს." ამ კუთხით სწორედ ამიტომ გააჩნია ადვოკატს სპეციალური სტანდარტი, რომლის მისაღწევად გადის შესაბამის ეტაპებს. ადვოკატი ეცნობა რა კლიენტის ხელთ არსებულ ფაქტებს, დოკუმენტებსა და მის მოსაზრებებს გარკვეულ წილად სახავს გეგმას, რომელშიც კლიენტის ყველა შესაძლო ინტერესი მოქცეულია კანონისა და პრაქტიკის ფარგლებში და გამიზნულია სასამართლო შედეგისაკენ. შესაძლებელია კლიენტის პოზიცია ლოგიკურია მაგრამ იმ მომენტისათვის არ გამოიყურება მომგებიანად, მით უმეტეს თუ ადვოკატს გააჩნია ამ პოზიციაზე თავისი პროფესიული ხედვაც.

5.6 ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2).

5.7 წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად უდავოა, რომ ადვოკატი ზ. ზ. იყო დ. ღ.ს ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში, გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატს საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეუთანხმდა კლიენტის, დ. ღ.-ს ნათესავი - ზ. ღ.. წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატი ზ. ზ. სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ბრალდებულის დაკავების მეორე დღეს, 22 ნოემბერს. ადვოკატმა კლიენტის საქმეზე განახორციელა შემდეგი საადვოკატო მოქმედებები: ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ბრალის წარდგენასა და პირველ ინსტანციაში, სასამართლოს ყველა სხდომაზე. ადვოკატმა რამდენჯერმე ნახა კლიენტი, რომელიც შესახლებული იყო სასჯელაღსრულების N დაწესებულებაში. ამავე დროს კომუნიკაცია ჰქონდა და საქმის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტის ოჯახის წევრებს. წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ბრალდების მხარის

ყველა მტკიცებულება გახადა სადავოდ, ხოლო მთავარ სხდომაზე ბრალდებულმა ბრალი აღიარა და უდავოდ ცნო საქმეში არსებული მტკიცებულებები. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის განაჩენით, ბრალდებულ დ. ღ.-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

5.8 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.9 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.10 კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. საჩივრის ავტორმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა სასამართლოს სხდომის ოქმები. სხდომის ოქმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

2023 წლის 09 მარტის სხდომა: დ. ღ.ს ადვოკატმა ზ. ზ.-მა განმარტა, რომ ბრალდებული ბრალდებაში თავს ცნობს დამნაშავედ და უდავოდ ცნობს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

მოსამართლე მიმართავს ბრალდებულს - ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ და ყველა ეპიზოდში? ბრალდებული ადასტურებს.

მოსამართლე ბრალდებულთან აზუსტებს - საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიიჩნევს თუ არა უდავოდ. ბრალდებული ეთანხმება.

მოსამართლე ბრალდებულთან აზუსტებს - ხომ განუმარტა ადვოკატმა, რას ნიშნავდა მტკიცებულებათა უდავოდ მიჩნევა. მოსამართლის მიმართვას უპასუხა ადვოკატმა ზ. ზ.-მ - „დიახ“ - ფრაზით.

ადვოკატმა დასკვნით სიტყვაში მოითხოვა, რომ მის კლიენტს სასჯელის სახით განსაზღვროდა სანქციით გათვალისწინებული მინიმუმი, იმ მოტივით, რომ ის ეთანხმებოდა ბრალს და უდავოდ ცნობდა მტკიცებულებებს. ბრალდებული ადვოკატს დაეთანხმა და არაფერი დაუმატებია.

5.11 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - სხდომის ოქმებით ნათელია, რომ დ. ღ. ეთანხმება ადვოკატს და არჩეულ სტრატეგიას. საჩივრის ავტორს, გარდა განმარტებისა, კომისიისათვის არ მოუწოდებია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატმა ზ. ზ.-მა დ. ღ.-ს დაცვა განახორციელა ფორმალურად, მას არ აწვდიდა ინფორმაციას და არ უწევდა კონსულტაციებს. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, ადვოკატ ზ. ზ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა, 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.6 მუხლები.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №036/23 ადვოკატ ზ. ზ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/